საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN 7

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

04 ივლისი 2023 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7.იზა მაგრაქველიძე; 8. დავით ცხადაძე;

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი ბარათაშვილი; ამირან ვერულაშვილი; რუსუდან კოვძირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემისას, ქირის საფასურის საწყისი წლიური ოდენობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 01 ივნისის N20 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციციპალიტეტის სოფლების: ახალთერჯოლა, ბოსელა(ახალთერჯოლის ადმინისტრაციული ერთეული); ბროლიქედი, გოდოგანი, ნაგარევი, ჭალასთავი (გოდოგანის ადმინისტრაციული ერთეული);ახალუბანი, ეწერი (ეწრის ადმინისტრაციული ერთეული); დელტასუბანი, ზედა საზანო, მუჯირეთი, სკანდე, შიმშილაქედი, ჩიხორი(ზედა საზანოს ადმინისტრაციული ერთეული); კვახჭირი, ოდილაური, სარბევი (კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეული); ოქონა, ძევრი, სეფარეთი (ძევრის ადმინისტრაციული ერთეული); ჭოგნარი(ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეული), სახელდების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემისას, ქირის საფასურის საწყისი წლიური ოდენობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 01 ივნისის N20 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

,,ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემისას, ქირის საფასურის საწყისი წლიური ოდენობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 1 ივნისის №20 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2014 წლის დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, გადაცემისას, ქირის საფასური განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. ანუ ქონების პირდაპირი განკარგვის დროს საფასურის დადგენა მერიის უფლებამოსილებაა, შესაბამისად დადგენილება უნდა გაუქმდეს.

აზრი გამოთქვეს:
იზა მაგრაქველიძემ, ჯემალ ისაკაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქონების სასყიდლით სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემისას, ქირის საფასურის საწყისი წლიური ოდენობის განსაზღვრის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 01 ივნისის N20 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო 2023 წლის 27 ივნისის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილი N 134589, რომელიც განსახილველად და რეაგირებისათვის დაეწერა იურიდიულ საკითხთა კომისიას.
,,გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7, მე-8 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების თანახმად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილია ინიციატივა, რომელიც გულისხმობს შემდეგს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლებში სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდება განხორციელდეს არაბული ციფრების გამოყენებით, რაც ყველა სოფლის ინტერესს წარმოადგენს.

შესაბამისად უნდა ვუზრუნველყოთ ქუჩების არაბული ციფრებით სახელდებისთვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის/აქტების გამოცემა და სააგენტოსთვის მიწოდება. სახელდებისთანავე სააგენტო სამისამართო ობიექტებს (შენობა-ნაგებობა/მიწის ნაკვეთი) მიანიჭებს ნუმერაციას და განუსაზღვრავს ინდივიდუალურ მისამართებს. ახლადშექმნილი მისამართები აღირიცხება, როგორც სამისამართო, ასევე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრებში; მისამართებზე ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი იქნება სააგენტოს ინტერაქტიული რუკის მეშვეობით.
აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს არაბული ციფრების გამოყენებით სახელდებული ქუჩების სახელების შეცვლა და მათთვის სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწე პირებთან ან ისტორიულ ტოპონიმებთან დაკავშირებული სახელწოდებების განსაზღვრისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დაწყება, გეოგრაფიული მონაცემების დამუშავების საჭიროების გარეშე, უფრო გამარტივებული წესით შეეძლება.

შესაბამისად გააცნო კომისიის წევრებს განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციციპალიტეტის სოფლების: ახალთერჯოლა, ბოსელა(ახალთერჯოლის ადმინისტრაციული ერთეული); ბროლიქედი, გოდოგანი, ნაგარევი, ჭალასთავი (გოდოგანის ადმინისტრაციული ერთეული);ახალუბანი, ეწერი (ეწრის ადმინისტრაციული ერთეული); დელტასუბანი, ზედა საზანო, მუჯირეთი, სკანდე, შიმშილაქედი, ჩიხორი(ზედა საზანოს ადმინისტრაციული ერთეული); კვახჭირი, ოდილაური, სარბევი (კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეული); ოქონა, ძევრი, სეფარეთი (ძევრის ადმინისტრაციული ერთეული); ჭოგნარი(ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეული), სახელდების შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ პროექტს
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციციპალიტეტის სოფლების: ახალთერჯოლა, ბოსელა (ახალთერჯოლის ადმინისტრაციული ერთეული); ბროლიქედი, გოდოგანი, ნაგარევი, ჭალასთავი (გოდოგანის ადმინისტრაციული ერთეული);ახალუბანი, ეწერი (ეწრის ადმინისტრაციული ერთეული); დელტასუბანი, ზედა საზანო, მუჯირეთი, სკანდე, შიმშილაქედი, ჩიხორი(ზედა საზანოს ადმინისტრაციული ერთეული); კვახჭირი, ოდილაური, სარბევი (კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეული); ოქონა, ძევრი, სეფარეთი (ძევრის ადმინისტრაციული ერთეული); ჭოგნარი(ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეული), სახელდების შესახებ;

მუხლი 2. განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: